# გონიო-აფსაროსი

გზამკვლევი

# GONIO-APSARUS

GUIDE-BOOK



აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA

გონიო-აფსაროსის
არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი

ARCHAEOLOGICAL AND ARCHITECTURAL
SITE OF GONIO-APSARUS

# გონიო-აფსაროსი
# GONIO-APSARUS

## გზამკვლევი
## GUIDE-BOOK

ბათუმი 2019 BATUMI

UDC (უაკ) 902.2(479.223)(036)
გ - 673

| | |
|---|---|
| ავტორები: | AUTORS: |
| შოთა მამულაძე | **Shota Mamuladze** |
| ლაშა ასლანიშვილი | **Lasha Aslanishvili** |
| კახაბერ ქამადაძე | **Kakhaber Kamadadze** |

| | |
|---|---|
| სარედაქციო ჯგუფი: | EDITORAL BOARD: |
| ზაურ ახვლედიანი | **Zaur Akhvlediani** |
| ემზარ კახიძე | **Emzar Kakhidze** |
| მერაბ ხალვაში | **Merab Khalvashi** |
| სულხან მამულაძე | **Sulkhan Mamuladze** |
| თორნიკე მამისეიშვილი | **Tornike Mamiseishvili** |
| ანდრია როგავა | **Andria Rogava** |

| | |
|---|---|
| თარგმანი: | TRANSLATED BY: |
| ნინო გაბუნია | **Nino Gabunia** |

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA

MINISTRY OF EDUCATION, CULTURE AND SPORT OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC

www.ajaraheritage.ge

info@ajaraheritage.ge

ISBN 978-9941-9675-2-8

გამომცემლობა სამშობლო

თბილისი, [illegible] 7; ტელ.: 551 95 31 90

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA

გონიო-აფსაროსის
არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი

ARCHAEOLOGICAL AND ARCHITECTURAL
SITE OF GONIO-APSARUS

# გონიო-აფსაროსი
# GONIO-APSARUS

## გზამკვლევი
## GUIDE

ბათუმი 2019 BATUMI

უაკ...

ავტორები:
შოთა მამულაძე
ლაშა ასლანიშვილი
კახაბერ ქამადაძე

სარედაქციო ჯგუფი:
ზაურ ახვლედიანი
ემზარ კახიძე
მერაბ ხალვაში
სულხან მამულაძე
თორნიკე მამისეიშვილი
ანდრია როგავა

თარგმანი:
ნინო გაბუნია

AUTORS:
**Shota Mamuladze**
**Lasha Aslanishvili**
**Kakhaber kamadadze**

EDITORAL BOARD:
**Zaur Akhvlediani**
**Emzar Kakhidze**
**Merab Khalvashi**
**Sulkhan Mamuladze**
**Tornike Mamiseishvili**
**Andria rogava**

TRANSLATED BY:
**Nino Gabunia**

**ISBN...**

# შესავალი

გონიო-აფსაროსი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის (ძვ. აფსაროსი/აკამფსისი/ჰარპასოსი) დელტის მარცხენა სანაპიროზე, ბათუმის ცენტრიდან 12 კმ-ის მოშორებით. ციხე-სიმაგრე ზღვასთან ახლოს, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილასაა აგებული. სწორედ აქ გადიოდა ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისაკენ (თანამედროვე სოხუმი) მიმავალი გზა. ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებით კი სამცხე-ჯავახეთთან და ტაო-კლარჯეთთან.

გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე გეგმით სწორკუთხედია. მისი სიგრძე 222 მეტრია, სიგანე-195 მეტრი. მთელი ფართობი 4,75 ჰექტარს შეადგენს. ციხის კედლის საერთო სიგრძე პერიმეტრზე-900 მეტრია, კედლების სიმაღლე-5 მეტრი, ხოლო კუთხეებთან, სადაც კოშკებია აღმართული-7 მეტრი. საძირკვლის სიღრმე 3,5 მეტრს აღემატება. კედლების ქვემო ნაწილი დიდი ზომის თლილი კვადრებით არის მოპირკეთებული. გალავნის კედლებზე დაშენებულია ოსმალური პერიოდის ქონგურები. ამჟამად ციხე მოითვლის 18 კოშკს, მაგრამ თავდაპირველად 22 კოშკი ჰქონია. გალავნის კუთხეებთან დგას ოთხი მთავარი კოშკი, რომლებსაც ციხის შიგნით გააჩნიათ ქვის კიბე. ციხე-სიმაგრეს ადრე 4 შემოსასვლელი ჰქონია. დღესდღეობით დასავლეთ კარიბჭის გარდა, ყველა ამოქოლილია. ციხე-სიმაგრის ფასადი, რომელიც განისაზღვრებოდა მთავარი ქუჩისა და კოშკების განლაგების მიხედვით, დასავლეთისაკენ (ე.ი.ზღვისკენ) არის მიმართული. ზღვა წარმოადგენდა ზურგსაც, ვინაიდან საშიშროების შემთხვევაში სწორედ აქეთკენ იყო ყველაზე უხიფათო მომარაგებისა და უკანდასახევი გზა. აღმოსავლეთით ციხეს მთები იცავდნენ, ჩრდილოეთიდან - მდინარე, მხოლოდ სამხრეთიდან იყო ის შედარებით დაუცველი და ამი-

ტომაც აქ ყველაზე მეტად გამაგრებულია ციხის კედლები.

გონიო-აფსაროსი განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, სადაც აღმოცენდა ბრწყინვალე თვითმყოფადი კოლხური ბრინჯაოს კულტურა და დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ასურული (თუქულთი-ნინურთა II -1248-1209 წწ; ტიგლათფილესერ I-1115-1077 წწ; სალმანასარ III-859-824 წწ) და ურარტული (მენუა 810-786 წწ; არგიშტ I-786-765წწ; სარდურ I I-765-735წწ) წყაროების მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანაშივე ჭოროხის აუზში არსებობდა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: დაიაენი (დიაუხა)( ძვ.წ. XIII-IX სს) და კულხა (ძვ.წ.XII-VIII სს). ანტიკური ტრადიციებისა და არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება აფსაროსის, როგორც დასახლებული პუნქტის წარმოქმნა. არტემიდორე ეფესელის (ძვ.წ. II ს), არიანეს (ახ.წ. II ს), პროკოპი კესარიელის (ახ.წ. VI ს), სტეფანე ბიზანტიელის (ახ.წ. VI ს) და სხვათა ცნობების მიხედვით აფსარო-




**ციხის ტოპოგეგმა**
**Ground plan of the fort**

სის სახელწოდება უკავშირდება არგონავტების აია-კოლხეთში ლაშქრობას, მათ მიერ აიეტის ვაჟის აფსირტეს მოკვლას და აქვე დაკრძალვას. აფსაროსის სახელის წარმოშობის მითოლოგიური ახსნისგან განსხვავებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში აფსაროსის ეტიმოლოგია წყლით მდიდარ უბანს, ჭაობიან ადგილს უკავშირდება, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ აიეტის ვაჟის სახელი აფსირტე რაღაცნაირად წყალთან იყოს დაკავშირებული.

უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ პირველი სამოსახლოები ციხის ტერიტორიაზე ძვ.წ.VIII-VII სს გაჩენილა. ინტენსიური ცხოვრება გრძელდება კლასიკურსა (V-IV სს) და ელინისტურ (IV-I სს) ხანაშიაც. საკუთრივ ციხის აშენება ახ.წ. I საუკუნეში რომაელებს უკავშირდება. პლინიუსის მიხედვით, ციხე (კასტელუმი) ახ.წ. 77 წელს უკვე აგებულია. აფსაროსი ახ.წ. I-III სს რომის აღმოსავლეთი საზღვრის სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. აქ იდგა 5 დამხმარე კოჰორტა (დაახ-



**პეუტინგერის რუკა**
**Tabula Peutingeriana**

ლოებით 1200-1500 კაცი). აფსაროსი არამარტო ძლიერი სამხედრო ბაზა იყო, არამედ მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტიც. ახ.წ. VI ს ავტორი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა: ,,ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰოპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდს მომასწავებელია“.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით (ეპიფანე კვიპროსელი, დოროთეოს ტვირელი, სოფრონი და სხვა) აფსაროსში დაკრძალულია ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული მატათა. VI ს 40-იანი წლებიდან აფსაროსში ბიზანტიელები გამაგრდნენ. X ს ეს ციხე აკამფსის სახელითაა ცნობილი. XII ს მკვიდრდება ამ პუნქტის ახალი სახელი გონია. 1547-1878 წწ აქ ოსმალთა მნიშვნელოვანი გარნიზონი დგას.

ციხის ისტორიით თავდაპირველად ჰენრიხ შლიმანი, ნიკო მარი და თეოდორ უსპენსკი დაინტერესდნენ. ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ სისტემური ხასიათი 1994 წლის შემდეგ შეიძინა, როდესაც შეიქმნა მუზეუმ-ნაკრძალი და მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. ციხის ტერიტორიაზე ყოველწლიურად უცხოელ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად (იენის, ვარშავისა და ფერარას უნივერსიტეტები) ხორციელდება ფართომასშტაბიანი კვლევა-ძიება.

გათხრების შედეგად აღმოჩნდა საზოგადოებრივი დანიშნულების მონუმენტური ნაგებობანი: პრინციპია, პრეტორიუმი, ყაზარმები, თერმები; სამეურნეო-სახელოსნო უბნები, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემები; მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა: კერამიკა, მინის, ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი, მონეტები და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გონიოს განძი, რომელშიც საიუველირო ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშებია წარმოდგენილი.

## INTRODUCTION

Gonio-Apsarus is situated in the south-west of Georgia, on the left bank of the mouth of the Chorokhi River (former Apsaros/Akampsis/Harpasos), at a distance of 12 km from the center of Batumi. The fortress is built on a strategically important location near the sea. It was here that the road leading from Trapesund to Sebastopol (present Sokhumi) ran through, while that running to Samtskhe-Javakheti and Tao-Klarjeti went through the Chorokhi and Ajaristskali gorges.

Gonio-Apsarus Fortress has rectangular plan. It is 222 meters long and 195 meters wide. It covers the area of 4.75 ha. Total length of the fortress wall along the perimeter is 900 meters, height – 5 meters, while at the corners, where the towers are erected – it is 7 meters high. The depth of the foundation exceeds 3.5 meters. The lower part of the walls is faced with big size hewn blocks. The massive walls are surmounted by battlements of the Ottoman period. Currently the fortress has 18 towers, but originally it had 22. Four major towers which can be ascended with stone stairs arranged inside the fortress stand in the



ციხის ხედი **View on the fort**

corners of the wall. The fortress used to have four entrances; however, presently all except for the western gate are blocked up. The façade of the fortress, which was rendered according to the arrangement of the main street and the towers, is directed westwards (i. e. to the sea). The sea also served as a protection, because, in case of danger it was the safest way to deliver supplies as well as to retreat. The mountains were natural protection of the fortress on the east, the river – on the north; however, it was comparatively unprotected on the south, which is why the walls are most fortified here.

Gonio-Apsarus is situated in the part of Georgia where the splendid, indigenous bronze culture of Colchis originated and where Georgia's statehood began. According to Assyrian (Tukulti-Ninurta II – 1248-1209 BC; Tiglath-Pileser I – 1115-1077 BC; Shalmaneser III – 859-824 BC) and Urartuan (Menua 810-786 BC; Argisht I – 786-765 BC; Sarduri II – 765-735 BC) sources, early Georgian state formations existed in the Chorokhi basin as early as the Late Bronze Age. They were Daiaeni (Diaukha) (13th -9th cc BC) and Kulkha (12th -8th cc BC). Based on Classical traditions and archaeological data, it is this period that emergence of Apsaros as a settlement belongs to. According to the accounts of Artemidorus of Ephesius (2nd cBC).



ციხის ხედი **View on the fort**

Arrian (2nd c AD), Procopius of Caesarea (6th c AD), Stephanus of Byzantium (6th c AD) and so on, the name of Apsaros is associated with the Argonauts' campaign in Aia-Colchis, with murdering of Apsirte, son of Aeetes by them and burying him on the location. Unlike the mythological explanation of the origins of the name Apsaros, in Georgian historiography the etymology of Apsaros is related to a place rich in water, a swampy area; however, it is presumable that the name of Aeetes' son – Apsirte – could be, in some ways, connected to water.

The latest archaeological data prove that the first settlements on the territory of the fortress emerged in the 8th -7th cc BC. Intensive habitation continues here through the Classical (5th -4th cc BC) and Hellenistic (4th -1st cc AD) periods. Construction of the fortress is connected to the Romans in the first century AD. According to Pliny, the castle (castellum) had already been built by 77 AD. Apsaros was the strategic, political, economic and cultural center of the eastern boundary of Rome in the 1st -3rd cc AD. Five auxiliary cohorts (approximately 1,200-1,500 men) were stationed here. Not only was Apsaros a strong military base, but it was an important urban point as well. Procopius of Caesarea, author of the sixth century AD, noted: "The city used to be populous in old times. It was surrounded by many



ციხის ხედი — View on the fort




საქართველოს რუკა — Map of Georgia

walls and had a theatre and a hippodrome, as well as other facilities that are typical of big towns".

According to some sources (Epiphan of Cyprus, Dorotheus of Tyre, Sophron, etc.), Matthias, one of the Apostles of Christ, is buried in Apsaros. From the 540s the Byzantines occupied Apsaros. In the tenth century the fortress is referred to as Akamps. In the twelfth century a new name – Gonia – gets established. In 1547-1878 a major Ottoman garrison is camped here.

Heinrich Schliemann, Nicholas Marr and Fyodor Uspensky were the first to become interested in the history of the fortress. Archaeological excavations of the site began in the 1960s. Scientific and research work became regular following 1994, when the museum-reserve and a permanent archaeological expedition were set up. Large-scale investigations are carried out on the territory of the fortress in cooperation with foreign scientific centers (universities of Jena, Warsaw and Ferrara).

Excavations revealed monumental constructions of public function: principia, praetorium, barracks, thermae; market and artisans' districts, water and sewerage systems; diverse artifacts: pottery, glass, bronze, gold and silver objects, coins, etc. Particularly remarkable is Gonio treasure which comprises highly artistic samples of jeweler's art.




რომის იმპერია და გონიო-აფსაროსის ციხე
**Roman Empire and Gonio-Apsarus fort**




ციხის არქეოლოგიური უბნები
**Archaeological section of Gonio-Apsarus fort**

# ციხის ცენტრალური მონაკვეთი

## უბანი № 1

აფსაროსის ციხის ცენტრალურ ნაწილში (SWI და XI სექტორები) გამოვლენილია ორი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები:

1. პრინციპია (სიგრძე-28 მ, სიგანე-24 მ). გამაგრებულია პილონებითა და დამცავი კედლებით. ეტყობა რეკონსტრუქციის კვალი. გამოიყოფა წითელი ფერის ჰიდრავლიკური ხსნარით მომზადებული იატაკის მქონე სათავსები, დერეფნები, წყალმომარაგების სისტემა. აღმოჩენილი მასალის მიხედვით (მონეტები, მინის ჭურჭელი, კერამიკა) ნაგებობა ახ.წ. I ს მეორე ნახევარსა და III ს პირველ ნახევარში ფუნქციონირებდა.

2. კვადრებით შემოსაზღვრული ნაგებობა (სიგრძე-15 მ, სიგანე-11 მ). სტილი (ოთხივე მხრიდან ღია), აღმოჩენილი ქვის ბაზები და ბრინჯაოს ქანდაკების ნაშთები მის საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს. ნაგებობა ახ.წ. II საუკუნით თარიღდება.



**ციხის ცენტრალური მონაკვეთი**
**Central part of the fort**

## CENTRAL PART OF THE FORTRES

## SECTION N 1

Remains of constructions of two different functions have been revealed in the central part (sectors SWI and XI) of the fortress of Apsaros:

1. Principia (length – 28 m, width – 24m) is reinforced by pylons and protective walls. It bears traces of reconstruction. It comprises chambers with floors made with red hydraulic binder, corridors, water supply system. According to the discovered material, the structure operated in the second half of the first century and the first half of the third century AD.
2. The structure confined with blocks (length – 15 m, width – 11m). The style (open on all four sides), the revealed stone bases and remains of a bronze statue point to its religious function. The structure dates to the second century AD.



ციხის ცენტრალური მონაკვეთი
**Central part of the fort**

# აბანოები

## უბანი № 2

აფსოროსის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა აბანოები (თერმები). აღმოჩნდა ორი აბანო. მომცრო აბანო საქვაბისა და ცხელი განყოფილებისგან შედგებოდა. მონუმენტური თერმა მეციხოვნეთათვის იყო განკუთვნილი. მის სამხრეთ ნაწილში საქვაბე იყო მოწყობილი. წყვილი გვირაბით საქვაბე უკავშირდებოდა ცხელ აბანოს, რომლის იატაკი და კედლები ჰაერის ცხელი ნაკადით თბებოდა. ცხელი აბანო უკავშირდებოდა ორგანყოფილებიან თბილ აბანოს (ტეპიდარიუმს). ამავე კომპლექსში შედიოდა ცივი აბანო (ფრიგიდარიუმი) აბაზანებით და მოსაცდელით (აპოდიტერიუმი). რომაული თერმის ნანგრევებზე ოსმალებს აღმოსავლური ტიპის აბანო დაუშენებიათ.



**აბანოს ხედი**
**View on the baths**

## BATHS

## SECTION N 2

Baths (thermae) operated on the premises of Apsaros. Two of these have been discovered. The minor one consisted of a boiler-room and a hot compartment. The major bath was designated for guards. There was a boiler-room arranged in its southern part. The latter was connected to the hot bathroom by means of two tunnels. The floor and the walls of the bath were heated by hot current of air. The hot bathroom was linked to the two-department warm bathroom (tepidarium). The complex included a cold pool (frigidarium) with tubs and a lounge (apodyterium). A bath of oriental type was built over the ruins of the Roman thermae.




**დიდი და მცირე აბანოს გეგმა**
**Ground plan of the baths**

# სამხრეთი კარიბჭე

## უბანი № 3

სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩნდა რომაული ეპოქის (II-III სს) ყაზარმის ნაშთები. საძირკველი ამოყვანილი ყოფილა კარგად დამუშავებული დიდი ზომის ქვებით. ზედა ნაწილი ხით იყო ნაგები და გადახურული ყოფილა კრამიტით. შენობას ჰქონდა იატაკქვეშა გათბობა. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან 3 მეტრის სიფართის გალერეა მიუყვებოდა. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მარანიც. ყაზარმას ჰქონდა ხის კოლონები, რომლებიც ქვის ბაზებს ეყრდნობოდა.

ყაზარმის სიახლოვეს აღმოჩნდა რომაული (I-III სს), ბიზანტიური (VI-VII სს) და ოსმალური (XVI-XIX სს) ეპოქის წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემები.



**ყაზარმის ნაშთები**
**Remains of barrack blocks**

## SOUTHERN GATE

## SECTION N 3

Remnants of a barrack of the Roman period (2nd -3rd cc) were uncovered near the southern gate. The foundation was built with well-treated big-size stones. The upper part was made from wood and covered with tiles. The structure was equipped with an underfloor heating system. A three-meter wide gallery ran along the east and north sides. A wine cellar was also discovered in the south-western part of the structure. The barrack had wooden columns rested on stone bases.

Water supply and sewerage systems of Roman (1st-3rd cc), Byzantine (6th -7th cc) and Ottoman (16th -19th cc) periods were discovered near the barrack.



**ყაზარმის ნაშთები**
**Remains of barrack blocks**

# სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი
## უბანი № 4

რომაულ ხანაში ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, როგორც ჩანს ერთგვარ სამეურნეო-სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მიკვლეულია 30-მდე ქვის ხელწისქვილი, ამფორების გამოსაწვავი ქურისა და წარმოების ნაშთები, რომაული ეპოქის ვერცხლის მონეტების განძი, ბავშვის სამარხში ჩაყოლებული ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნაკეთობანი და ა.შ.



**ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთი**
**South-western part of the fort**



**კერამიკული ქურა-სახელოსნოს ნაშთები**
**Remains of pottery workshop**

რომაული ხანის (I-III სს) კულტურულ ფენაში დასტურდება რამოდენიმე საამშენებლო პერიოდი შესაბამისი ნაგებობებითა და არქეოლოგიური მასალებით. აქვე წარმოდგენილია ბიზანტიური (VI-VII სს) და ოსმალური (XVI-XIX სს) ეპოქების კულტურული ფენები.

## SOUTH-WESTERN PART

## SECTION N 4



ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთის გარე ტერიტორიის ნაგებობათა ნაშთები

**Building remains outside the south-western part of the fort**

In the Roman period, the south-western part of the fortress was apparently a production and artisans' district. Excavations revealed nearly 30 stone hand-mills, remains of the kilns for firing amphorae and production waste, a hoard of Roman period silver coins, gold, silver and bronze objects placed in a child's grave, etc.

The cultural layer of the Roman epoch (1st -3rd cc) documents several construction periods with relevant structures and archaeological material. The site displays cultural layers of Byzantine (6th -7th cc) and Ottoman (16th -19th cc) epochs as well.




ციხის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთის გათხრების საერთო ხედი. სტრატიგრაფია

**General view on the excavations of the south-western part of the fort. Stratigraphy**

## უბანი № 5

ამ უბანზე გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. ზედა ფენა XVII-XIX სს-ით თარიღდება და მიეკუთვნება ისლამური სალოცავი კომპლექსის შემადგენელი ნაწილები: წყლის შადრევანი განბანვის რიტუალისათვის, ჭა, წყალგაყვანილობის ნაშთი და რიყის ქვით მოპირკეთებული მოედნის ფრაგმენტები. ქვედა ქრონოლოგიური პერიოდის - გვიან რომაული-ადრეშუასაუკუნეების ხანის ნაგებობისგან შემორჩენილია სამხრეთ-ნაწილში დერეფნით აღჭურვილი მართკუთხა დაგეგმარების ნაგებობის საძირკვლის ნაშთები. იგი გადახურული იყო კრამიტით. ნაგებობის შიგნით გამოვლენილია ორი თონის ნაშთი. ამავე უბანზე იკვეთება რომაული ციხესიმაგრეებისათვის დამახასიათებელი ცენტრალური გზის ფრაგმენტი ერთრიგიანი ფლეთილი ქვის ბორდიურის სახით.



**რომაული და ოსმალური პერიოდის ნაგებობათა ნაშთები**
**Remains of Roman and Ottoman buildings**

## SECTION N 5

The section yielded archaeological monuments of various periods. The upper layer dates to the 17th -19th cc and comprises the constituent parts of the complex of Islamic worship: a water fountain for the ritual purification, a well, and remains of a water supply system, and fragments of a square paved with cobblestone. Out of the structure of the lower chronological period – late Roman-early medieval periods - only the ruins of the foundation of a rectangular building equipped with a corridor in the southern part have survived. It had a tile revetment. Remains of two baking ovens have been revealed inside the building. The same section includes a fragment of the central road typical of Roman fortresses. It has been preserved as a curb formed by a single row of ripped stone.



**რომაული და ოსმალური პერიოდის ნაგებობათა ნაშთები**
**Remains of Roman and Ottoman buildings**

# ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი

## უბანი № 6

ამ უბანზე გათხრების დროს სხვადასხვა მონაკვეთში დაფიქსირდა ოსმალური (XVI-XIX სს), ადრებიზანტიური (VI-VII სს) და რომაული (I-III სს) კულტურული ფენები. რომაულ ფენაში გამოიკვეთა ორი საანშენებლო პერიოდი. დასტურდება, რომ რომაელებს აქ I საუკუნეში აუშენებიათ ყაზარმისათვის განკუთვნილი ნაგებობა. იგი მოგვიანებით II ს-ის მეორე ნახევარში გადამწვარა. აქვე ტერიტორიის მოზვინვისა და ნივილირების შემდეგ II ს-ის მეორე ნახევარშივე ორი მოზრდილი ყაზარმა გაუმართავთ. ორივე ნაგებობის საძირკვლები ქვისაა, ზედა ნაწილი ხის უნდა ყოფილიყო. შენობები გადახურული ყოფილა კრამიტით.



**ყაზარმების ნაშთები**
**Remains of the barrack blocks**

## SOUTH-EASTERN PART OF THE FORTRESS

## SECTION N 6



ყაზარმების ნაშთები

**Remains of the barrack blocks**

Ottoman (16th -19th), early Byzantine (6th -7th cc) and Roman (1st-3rd) cultural layers were recorded in various sections during the excavations of this area. Two construction periods were identified in the Roman layer. It is documented that the Romans had a structure built specially for a barrack here in the 1st century. It burnt down later, in the second half of the 2nd century. Shortly after embanking and leveling the area, two big size barracks were arranged. Bases of both structures are made of stone, while the upper part must have been made of wood. They were both covered with tiles.



ყაზარმების ნაშთები **Remains of the barrack blocks**

# უბანი № 7

ამ უბანზე აღმოჩენილია რომაული ეპოქის მონუმენტური ნაგებობის ნაშთები. მის მშენებლობაში დადასტურებულია სამი სამშენებლო პერიოდი. პირველი იმპერატორ ნერონის მმართველობის დროინდელია და ყველაზე ადრეულია. მას მიეკუთვნება ბელელის ნაშთები. მეორე იმპერატორ ტრაიანეს მმართველობის პერიოდით თარიღდება. მას მიეკუთვნება მოზაიკიანი აბანო და მისი შემადგენელი კომპლექსის ნაწილები: ფრიგიდარიუმი, აპოდიტერიუმი, პრეფორნიუმი და ა.შ.

მშენებლობის მესამე პერიოდი იმპერატორ ადრიანეს მმართველობის პერიოდით თარიღდება. ამ პერიოდში გადაუკეთებიათ აბანო და აუგიათ მეთაურის საცხოვრებელი სახლი - პრეტორიუმი.



**მოზაიკიანი იატაკი** **mosaic floor**



**აბანოს ნაშთები** **Remains of the baths**



**პრეტორიუმის ნაშთები**
**Remains of the headquarters building (praetorium)**

## SECTION N 7

This district preserves remains of a monumental construction of the Roman period. Three construction periods are evidenced in the building. The first is the earliest and dates to the period of Nero's reign. The second belongs to the times of Trajan and includes the bath with mosaics and the constituent parts of the complex: frigidarium, apodyterium, prefornium and so on.

The third construction period is dated to the reign of Adrian. It was then that the bath was altered and the praetorium – general's tent – was built.



პრეტორიუმის ნაშთები მოზაიკიანი იატაკით

**Remains of the headquarters building (praetorium) with mosaic floor**

## მატათა მოციქულის სიმბოლური საფლავი

ზოგიერთი წყაროს მიხედვით (ეპიფანე კვიპროსელი, დოროთეოს ტვირელი, სოფრონი) აფსაროსში დაკრძალულია ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული მატათა. ქართული და უხოური წერილობითი წყაროების მიხედვით მატათა მოციქული ანდრია პირველწოდებულთან და სვიმეონ კანანელთან ერთად საქართველოშიც იმყოფებოდა.

წმიდა მატათას მიცვალების შესახებ რამოდენიმე გადმოცემა არსებობს: ერთის მიხედვით, იგი აჭარაში აღესრულა მოწამეობრივად; მეორე გადმოცემით კი იერუსალიმის მახლობლად.



## SYMBOLIC GRAVE OF APOSTLE MATTHIAS

According to some sources (Epiphan of Cyprus, Dorotheus of Tyre, Sophron), Matthias, one of Christ's apostles, is buried in Apsaros. Some Georgian and foreign written sources report that Matthias had visited Georgia together with Andrew the First Called and Simon the Canaanite.

There are several oral traditions about the death of Saint Matthias: one tradition holds that he departed this life in Ajara, while according to the other - he died near Jerusalem.

# გონიო-აფსაროსის მუზეუმის შიდა ექსპოზიცია

მუზეუმის შიდა სივრცეში ძირითადად თავმოყრილია და ექსპონირებულია ის მასალა, რომელიც წლების განმავლობაში არქეოლოგიური გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების გზით მოპოვებულია გონიო-აფსაროსსა და მის შემოგარენში.

ექსპოზიციის დასაწყისში არსებულ ბანერებზე დატანილია ციხისა თუ გათხრების ამსახველი საილუსტრაციო მასალები და ამონარიდები ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ნაშრომებიდან, რომელიც გონიო-აფსაროსს ეხება. აქვეა ახ.წ. IV ს გეოგრაფოსის კასტორიუსის რუკა (Tabula Peutingeriana), რომელზეც აფსაროსის სახელი და ციხის სქემატური გამოსახულება დატანილი. აქვეა წარმოდგენილი ქრისტიანობის საქართველოსა და კერძოდ აფსაროსში პირველმქადაგებლთა შესახებ უცხოურ-ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები და საილუსტრაციო მასალებიც.

საექსპოზიციო დარბაზში ცალკეული ეპოქების მიხედვით ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი სახის მასალები:



## THE EXHIBITION OF GONIO-APSARUS MUSEUM

The material that has been received through archaeological excavations and accidental discoveries in Gonio-Apsarus and its environs is mainly gathered and exhibited in the interior of the museum.

The banners at the beginning of the exposition display the material illustrating the fortress and the excavations, as well as extracts from the works by ancient Greek and Roman authors that refer to Gonio-Apsarus. Here is the map (Tabula Peutingeriana) drawn by Castorius, Roman geographer of the 4th century, which marks the name Apsaros and a schematic image of the fortress. The banner also shows accounts and illustrative materials about the first preachers of Christianity in Georgia and, specifically, in Ajara, provided in foreign and Georgian written sources.





The exhibition hall presents the following type of materials according to epochs:

# გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა

# (ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარი - I ათასწლეულის I ნახევარი)

გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდი კოლხური კულტურის აყვავების ხანაა. არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ჭოროხის აუზი, წარმოადგენდა მაღალგანვითარებული კოლხური კულტურის უძველეს კერას. აქ ჩამოყალიბდა ამ კულტურისათვის დამახასიათებელი სამეურნეო და საბრძოლო იარაღის ყველა ტიპი (ბრინჯაოს ცული, წალდი, თოხი, ნამგალი, სეგმენტური იარაღი და ა.შ.) მისთვის დამახასიათებელი სახეობებით. ამავე პერიოდში ისტორიული კოლხეთი რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს წარამოადგენდა. გონიოსა და მის შემოგარენში (ჭარნალი, ახალსოფელი, ავგია, კვარიათი და სხვ.) რკინის გამოსადნობი სახელოსნო უბნების აღმოჩენით დასტურდება, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან აქ არსებობდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი რკინის წარმოების კერა. აქვე წარმოდგენილია გონიოს ციხის ტერიტორიაზე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული დიუნური დასახლებების საკულტო დანიშნულების კერამიკაც.



**ბრინჯაოს ცულები**
**Bronze axes**

## LATE BRONZE – EARLY IRON AGES

## (SECOND HALF OF II MILLENNIUM – FIRST HALF OF I MILLENNIUM)

Late Bronze – early Iron period is the age of revival of Colchian culture. Archaeological excavations prove that south-western Georgia, the Chorokhi River basin was the ancient center of advanced Colchian culture. It was here that all types of household tools and weapons typical of this culture emerged (bronze axe, bill-hook, hoe, sickle, segment-shaped too l, etc.). In the same period historical Colchis was one of the earliest centers of iron metallurgy. The discovery of the workshop districts where iron was smelted on the territory of Gonio and its environs (Charnali, Akhalsopeli, Avgia, Kvariati and so on) evidence that from the late II millennium BC here existed one of the ancient centers of iron production in the world. The exhibition also shows pottery of religious function dated to the 8th -7th cc BC from dune settlements on the territory of Gonio Fortress.





ბრინჯაოს იარაღები
**Bronze tools**



ბრინჯაოს ცულები
**Bronze axes**



რკინის ქურა-სახელოსნო (რეკონსტრუქცია)
**Iron workshop (reconstruction)**



რკინის ქურა სახელოსნოს საქშენი მილები და წიდები (ძვ.წ.XIII-XI სს)
**Blowpipes and slags from the iron workshop (13th-11th centuries BC)**



**თიხის სადგრები (ძვ.წ. VIII-VII სს)**
**Clay stands (8th-7th centuries BC)**



**კოჭობი (ძვ.წ. VIII-VII სს)**
**Pot (8th – 7th centuries. BC)**



**სასმისი (ძვ.წ. VIII-VII სს)**
**Drinking vessel (8th-7th centuries BC)**



**ბრინჯაოს განძი (ძვ.წ. VIII-VII სს)**
**Bronze hoard (8th – 7th centuries BC)**

# კლასიკური და ელინისტური ხანა

# (ძვ.წ. V-I სს)

კოლხეთის სამეფოს საზღვრები ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისიდან მდ. აფსაროსამდე (მდ. ჭოროხი) აღწევდა. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება აფსაროსში ახალი კოლხური სამოსახლო და თანადროული სამაროვანი. აღმოჩენილია ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა: სხვადასხვა ფორმის დოქები, ვერცხლის სხივანა საყურე, ბრინჯაოს სამაჯურები, გიშრის, ქარვის, მინისებრი პასტის მძივები და ა.შ.



**ხელადა (ძვ.წ. V ს)**
**Jug (5th century BC)**

ციხის შიდა და მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრება გრძელდება ძვ.წ. IV ს დასას-



**კერამიკული ნაკეთობანი (ძვ.წ.V ს)**
**Ceramic artefacts (5th century BC)**

რულსა და ძვ.წ. III ს-ში. გამოვლენილია ამ პერიოდის სამარხები მდიდარი არქეოლოგიური მასალებით: კოლხური და სინოპური ამფორები, დერგები, შავპრიალა თიხის დოქი, მაკედონიის მეფის ანტიგონა გონატას (ძვ.წ. 277-239 წწ) სახელით მოჭრილი მონეტა და სხვ.



**ყურმილიანი დოქი (ძვ.წ. V ს)**

**Tubular-handled jar (5th century BC)**



**დოქი (ძვ.წ. IV-III სს)**

**Jar (4th-3rd centuries BC)**



**კოლხური ამფორა (ძვ.წ. IV-III სს)**

**Colchian amphora (4th-3rd centuries BC)**

## CLASSICAL AND HELLENISTIC PERIODS (5TH -1ST CC BC)

From the early fifth century BC borders of the kingdom of Colchis reached River Apsaros (r. Chorokhi). It was then that a new Colchian settlement and its contemporary cemetery emerged in Apsaros. They discovered archaeological material of this period: jugs of various shapes, a silver earring with radials, bronze bracelets, jet, amber, glass-like paste beads and so on.

Habitation continues inside the fortress and on the adjacent land through the late fourth and the third centuries BC. Burials of this period with abundant archaeological material have been revealed: Colchian and Sinopian amphorae, large jars, a black-polished clay jug, a coin minted under King Antigonos Gonatas of Macedon (277-239 BC), etc.



დოქი (ძვ.წ. IV-III)
Jar (4th-3rd centuries BC)

# რომაულ ხანა

## (ახ.წ. I-III სს)

აფსაროსი ახ.წ. I-III სს-ში მოქმედი ციხეა, რაც წერილობით წყაროებთან ერთად არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც დასტურდება.

## ROMAN PERIOD

## (1st -3rd cc AD)

In the 1st -3rd cc AD Apsaros is an active fortress which is confirmed both by written sources and archaeological data.

**ამფორები.** მათში სახეობრივად ჭარბობს შემოტანილი ნაკეთობანი. რაოდენობრივი თვალსაზრისით კი წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი. ახალი აღმოჩენების მიხედვით ცალკე გამოიყოფა თვით გონიო-აფსაროსში წარმოებული პროდუქციაც. ადგილობრივი წარმოების შესახებ უდავოდ მრავლის მთქმელია აფსაროსში აღმოჩენილი ქურა-სახელოსნო, რომელიც ახ.წ. II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში ფუნქციონირებდა. აქ ძირითადად ყელწიბოიან და შედარებით მცირე ზომის ყავისფერკეციან ამფორებს ამზადებდნენ.

დღეისათვის აფსაროსის მასალებში გამოიყოფა რომაული პერიოდის ამფორების 20-მდე ტიპი. დასტურდება, რომ ციხე-ქალაქის ცხოვრების პირველ ეტაპზე, ახ.წ. I ს მიწურულსა და II ს-ის დასაწყისისათვის



**კოლხური ამფორა (ახ.წ. II-III სს)**
**Colchian amphora (2st-3rd centuries AD)**

წამყვანია იმპორტული კერამიკული ტარა; ესაა იტალიკური, კოსური და როდოსული ამფორები, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის იშვიათობას წარმოადგენს. ახ.წ. II საუკუნის შუა ხანებიდან მდგომარეობა არსებითად იცვლება. წამყვანი ხდება სამხრეთ შავიზღვისპირეთში დამზადებული ამფორები. როგორც ჩანს, აფსაროსში განლაგებული რომაელთა ჯარების მომარაგების საქმეში მთავარ როლს უკვე სამხრეთი შავიზღვისპირეთი, კერძოდ სინოპე, ამისო, ტრაპეზუნტი და ჰერაკლეა ასრულებდა.







რომაული ამფორები (ახ.წ. I-III სს)

**Roman amphorae (1st-3rd centuries AD)**

**Amphorae.** Imported items dominate in terms of types, while local products prevail in number. Given the latest discoveries, the products manufactured in Gonio-Apsarus can be separated. The kiln-workshop discovered in Apsaros speaks about local production. It operated in the late 2nd and early 3rd cc AD. Here they mainly produced amphorae with a ribbed neck and smaller size ones with brown fabric.

Presently, up to 20 types of Roman period amphorae can be identified in the material from Apsaros. It is evidenced that on the first stage of life in the fortified city, in the late 1st - early 2nd cc AD, it is imported ceramic vessels that dominate. They are the amphorae from







**რომაული ამფორები (ახ.წ. I-III სს)**
**Roman amphorae (1st-3rd centuries AD)**



Italy, Kos and Rhodes, which is quite rare to the eastern coast of the Black Sea. The situation changes dramatically from the mid second century AD – amphorae produced on the southern coast of the Black Sea become dominant. Apparently, at the time, southern coast of the Black Sea, specifically, Sinop, Amisos, Trapesund and Heraclea played the main role in supplying the Roman army encamped in Apsaros.



**დამღები/გარნიზონები.** ახ.წ.134 წლს იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ) დავალებით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმოგზაურა და თავის „პერიპლუსში“ იქ არსებული მგომარეობა აღწერა კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ. არიანე იხსენიებს აფსაროსში მდგარ ხუთ კოჰორტას. აფსაროსის რომაული გარნიზონის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სახვა წყაროებიც. მაგალითად იტალიაში, ნოლას მახლობლად, აბელაში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით მარკუს პრეტორიუს კელერი, რომელიც ტრაიანემ დაჯილდოვა პართიის ომში (113-117 წწ) მონაწილეობისათვის, ერთ დროს ასრულებდა რომაელთა იმ სანა- პ - ირო ჯარების მეთაურის მოვალეობას, რომლებიც დაბანაკებულნი იყვნენ აფსარში. მნიშვნელოვანია, აგრეთვე ეგვიპტეში, კერძოდ, ფაიუმში აღმოჩენილი II საუკუნით დათარიღებული პაპირუსის ფრაგმენტი, რომელიც აფსაროსის ვეტერანის მიერაა





**რომაული დამღები**
**Roman stamps**






დაწერილი. აქ მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი. წერილობითი წყაროებისა და აღმოჩენილი წარწერების მიხედვით დასტურდება, რომ აფსაროსში იდგა შემდეგი დასახელების რომაული კოჰორტები: აბელას წარწერაში მოხსენიებული დამხმარე საგუშაგო რაზმები, ე.წ. „numer“-ები, იმპერატორ კლავდისუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტა - Cohors II Claudiana, მოისართა კოჰორტა - „Sagittarius“, Cohors milliaria და „romis moqalaqis“ – ჩივიუმ ღომანორუმ სტატუსის მქონე ჯარისკაცებით დაკომპლექტებული იმპერატორ ავრელიუსის სახელობის დამხმარე კოჰორტა.

არსებული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არიანეს „Periplus“-ში დასახელებული აფსაროსში მდგარი ხუთი კოჰორტა დამხმარე კოჰორტებია და არა ლეგიონური. ასე, რომ აფსაროსში დაახლოებით 1200-1500 ლეგიონერი იდგა.

**Stamped marks/garrisons.** In 134 AD Flavius Arrian, ruler of Cappadocia, was commissioned by Emperor Adrian (117-138) to travel to the eastern coast of the Black Sea. He provided a descriptive account of the situation there in his 'Periplus'. Arrian mentions five cohorts stationed in Apsaros. Accounts about the Roman garrison of



Apsaros are reported in other sources too. For instance, according to the inscription discovered in Avella, near Nolla, Italy, Marcus Praetorius Keller, who was awarded by Trajan for participation in the war against Parthia (113-117), was once in charge of the coastal troops encamped in Apsar. It is remarkable that a fragment of the papyrus







რომაული დამღები
**Roman stamps**

of the second century which was discovered in Faiyum, Egypt, is written by a veteran of Apsaros. It mentions Marcial, veteran of Claudius cohort II stationed in Apsaros. Written sources and the revealed inscriptions evidence that the following Roman cohorts were stationed in Apsaros: auxiliary units of guards, so called ‘numer’-s mentioned in the inscription from Avella; Cohors II Claudiana; Sigittarius; Cohors millitaria and the auxiliary one of Emperor Aurelius made up of the soldiers with the status of Civicum Romanorum.

The available data allow us to presume that the five cohorts stationed in Apsaros, named in ‘Periplus’ by Arrian, were auxiliary cohorts rather than legionary ones. Therefore, the number of legionaries standing in Apsaros amounted to 1200-1500.

**წითელლაკიანი კერამიკა.** ბოლო პერიოდის მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია წითელლაკიან კერამიკას. აქაც მცირე რაოდენობით გვხვდება ახ.წ. I საუკუნის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრში დამზადებული წითელლაკიანი კერამიკის ნიმუშები . ამ ტიპის კერამიკა იტალ-იკური ნაწარმის ტიპშია გაერთიანებული და ახ.წ. I საუკუნით თარიღდება . ამავე ეპოქის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ცენტრალური გალიის ნიმუშებს ემსგავსება და ფართოდ ჩანს გავრცელებული ევროპულ ნაწილ-ში. აფსაროსში ასევე გვხვდება წითელლლაკიანი კერამიკის პერ-გამული წარმოშობის ადრეული ნიმუშებიც, რომლებიც ასევე ახ.წ. I ს-ით თარიღდებიან. აქაური ნაწარმი ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან თანდათანობით მატულობს და II-III სს კულტურულ ფენებში კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენი-ლი. მათზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს საუკუნეების მანძილზე მჭიდრო პოლიტიკუ-რი და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან. გან-საკუთრებით კი სამხრეთ შავიზღვისპირეთთან.



**წითელლაკიანი კერამიკა (ახ.წ. I-III სს)**

**Terra sigillata (1st-3rd centuries AD)**





**Red-varnished pottery (Terra sigillata).** Red-varnished pottery occupies an outstanding place among the archaeological material recovered in recent years. The samples made in production centers of the western coast of the Mediterranean and discovered in the cultural layers of the first century AD come in small numbers. This type of pottery falls in the group of Italian production and dates to the first century AD. The cultural layer of the same epoch revealed one fragment which bears resemblance to the samples from central Gallia and seems to be widespread in Europe. Excavations in Apsaros also yielded early samples of red-varnished pottery from Pergamon that date to the first century AD. Products from the latter increase in number from the second half of the first century AD and are exposed in the cultural layers of the 2nd -3rd cc even in a wider range. Based on these it can be concluded that the eastern Black Sea Coast had close political and commercial relations with both western and eastern Mediterranean over centuries. However, these ties were even closer with the southern Black Sea Coast.



**წითელლაკიანი კერამიკა (ახ.წ. I-III სს)**
**Terra sigillata (1st-3rd centuries AD)**



**ჭრაქები.** გარკვეული ადგილი უჭირავს ბრინჯაოსა და თიხის ჭრაქებს. განსაკუთრებით მნიშვნელობისაა ბრინჯაოს სამფეხა ჭრაქი, რომელზეც ამოტვიფრულია წარწერა C.COH AVR C.R. წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ გონიოში მდგარი ერთ-ერთი კოჰორტა იმპერატორ ავრელიუსის სახელობის დამხმარე კოჰორტა ყოფილა.







**ჭრაქები (ახ.წ. I-III სს)**
**lamps (1st-3rd centuries AD)**

ჭრაქების უმრავლესობა თიხისაა. ისინი, როგორც ცნობილია, გამოიყენებოდა საზოგადოებრივი, საცხოვრებელი თუ სხვა ნაგებობების გასანათებლად. ამ სახის ნაწარმით აფსაროსის რომაულ გარნიზონს მცირე აზიის საწარმოო ცენტრები პერგამონი და სამოსი ამარაგებდნენ. მცირე რაოდენობითაა მოპოვებული დასავლეთ ევროპის ნაწარმიც.







**ჭრაქები (ახ.წ. I-III სს)**
**lamps (1st-3rd centuries AD)**









**ჭრაქები (ახ.წ. I-III სს)**
**lamps (1st-3rd centuries AD)**

**Oil lamps.** Bronze and ceramic oil lamps occupy a certain place in the material. Of special importance is a tripod bronze oil lamp which has an inscription C. COH AVR C.R. engraved on it. According to the inscription, it becomes clear that one of the cohorts stationed at Gonio was an auxiliary one bearing the name of Emperor Aurelius. The majority of the oil lamps are ceramic. As is known, they were used for lighting public, residential and other kinds of buildings. The Roman garrison of Apsaros was supplied with this kind of products from production centers of Asia Minor – Pergamon and Samos. The items manufactured in Western Europe come in small numbers.




**ჭრაქები (ახ.წ. I-III სს)**

**lamps (1st-3rd centuries AD)**

**სხვადასხვა ტიპის კერამიკა.** განეკუთვნება დოქები, კოჭობები, ამფორისებრი მინიატურული ჭურჭელი, ოინოხია, სანელსაცხებლეები, ქვაბქოთნები, ქოთნები, ხუფები, სამელნეები, საწაფები და ა.შ.

მრავალრიცხოვანია ლუთერიის ნაწარმიც, რომელიც ძირითადად ტაშტის მოვალეობას ასრულებდა. აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლუთერიების უმრავლესობას სინოპური ნაკეთობები ქმნიან. მცირე რაოდენობით გვხვდება ჰერაკლეური და ადგილზე დამზადებული ნიმუშები.



**რომაელი ლეგიონერის ქანდაკების თავი I-IIსს**

**Head of a Roman legionary (1st-2nd centuries AD)**



**Pottery of different types.** They include jugs, small cooking pots, amphora-like miniature vessels, oinochoe, unguentaria, situlae, pots, lids, inkpots, sinkers, etc.

There is a large number of luteria which were mainly used as basins. The majority of the luteria discovered on the territory of Apsaros is production of Sinop, while those made in Heracleion and locally are rather scanty.



**სხვადასხვა სახის სადა კერამიკა (ახ.წ. I-III სს)**

**Various plain wares (1st-3rd centuries AD)**



**სხვადასხვა სახის სადა კერამიკა (ახ.წ. I-III სს)**
**Various plain wares (1st-3rd centuries AD)**



სხვადასხვა სახის სადა კერამიკა (ახ.წ. I-III სს)
**Various plain wares (1st-3rd centuries AD)**



**სხვადასხვა სახის სადა კერამიკა (ახ.წ. I-III სს)**

**Various plain wares ($1^{st}$-$3^{rd}$ centuries AD)**





სხვადასხვა სახის სადა კერამიკა (ახ.წ. I-III სს)

**Various plain wares (1st-3rd ccenturies AD)**

**მინის ნაწარმი.** გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი მინის ნაწარმიც აღმოჩნდა. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რომაული ხანის მინის ჭურჭლის მსგავსი ნაირსახეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ძეგლებისათვის ჯერჯერობით უცნობია. თარიღდებიან უპირატესად







**მინის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)**
**Glass artefacts (1st-3rd centuries AD)**





ახ.წ. I-III საუკუნეების სხვადასხვა საფეხურით. ჩანს, რომ გონიო-აფსაროსში ახ.წ. I საუკუნეში უპირატესად გავრცელებული იყო დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში წარმოებული პროდუქცია (განსაკუთრებით მოზაიკური და ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალები). რაც შეეხება ახ.წ. II-III საუკუნეების მინის ნაწარმს, ისინი ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდანაა შემოტანილი.

**მინის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)**

**Glass artefacts (1st-3rd centuries AD)**



**Glass products.** Excavations carried out on the territory of Gonio-Apsarus revealed glass products in large numbers. They have very special importance. It can be claimed that no other site of the eastern Black Sea Coast has yielded a similar diversity of glass artifacts of Roman period so far. They are largely dated to different stages of the 1st -3rd cc AD. It appears that in the first century AD it was the products (especially mosaic and glass phialae with vertical ribs) manufactured in the western Mediterranean that were common in Gonio-Apsarus. As far as the glass objects of the 2nd -3rd cc AD are concerned, they were mainly imported from various production centers of the Mediterranean.



**ფიალა (ახ.წ. I ს)**

**Bowl (1st century AD)**









**მინის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)**
**Glass artefacts (1st-3rd centuries AD)**



**მინის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)**
**Glass artefacts (1st-3rd centuries AD)**

**მონეტები.** გონიო-აფსაროსის აღმოჩენებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნუმიზმატიკური ძეგლები. მათგან ყველაზე ადრეულია ტიბერიუსის სახელით ქ. ლუგდუნუმში (გალია) მოჭრილი დენარი. ამ ზარაფხანაში მოჭრილი I საუკუნის მონეტები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რო-



**ანტიგონა გონატა (ძვ.წ.277-239 წწ)**
**Antigonus Gonatas (277-239 BC)**

მაული კასტელუმებისათვის თითქმის უცნობია. უნიკალურ მონაპოვართა შორის უნდა ჩაითვალოს იუდეის მეფის აგრიპა I (37-44 წწ) სახელით მოჭრილი მონეტის აღმოჩენა. გონიო-აფსაროსში მოპოვებული რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფებს შეადგენს ქ. ანტიოქიის მონეტები. სირიული მონეტების ჯგუფ-



**იულია დომნა. მოჭრილია ახ. 210 წელს**
**Julia Domna. 210 AD**

ში უნდა გაერთიანდეს ტიტუსის სახელით ქ. გადარაში მოჭრილი სპილენძის მონეტა. ეს მონაპოვარი ერთადერთია არა მარტო აფსაროსისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისაა კაპა-დოკიის ქ.კესარიაში



**იულია დომნა. მოჭრილია ახ. 217 წელს**
**Julia Domna. 217 AD**

მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. აფსაროსის ნუმიზმატიკურ მასალებში გვაქვს დენარებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქ.ტრაპეზუნტის მონეტები. გონიოს ბოლო დროის მონაპოვრებს შორის გვაქვს გორდიანე III სახელით ქ. სინოპში მოჭრილი სპილენძის მონეტაც. აფსაროსში აღმოჩენილი II საუკუნის მონეტების უმრავლესობა რომშია მოჭრილი. გვხვდე-



**ვესპასიანე (69-79 წწ)**
**Vespasian (69-79 AD)**



**კარაკალა (ახ.წ. 186- 217 წწ)**
**Caracalla (186-217 AD)**

ბა კესარიაში, აღმოსავლეთის ზარაფხანაში, ტრაპეზუნტში და ნეოკესარიაში მოჭრილი მონეტებიც. რაც შეეხება III საუკუნის მონეტებს, მათი უმრავლესობა ვერცხლისგანაა დამზადებული. ისინი ძირითადად მოჭრილია კესარიაში, რომში, ტრაპეზუნტში,



**კარაკალა (ახ.წ. 186- 217 წწ)**
**Caracalla (186-217 AD)**

თესალონიკში და სინოპში. II-III საუკუნეების აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ჩანს, რომ აფსაროსი მცირე აზიის გავლენის სფეროა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები ძირითადად მიმართულია კაპადოკიის პროვინციისა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქალაქებისაკენ.

**Coins.** Among the artifacts uncovered in Gonio-Apsarus, numismatic ones attract special attention. The earliest of those is a denarius minted in the name of Tiberius in Lugdunum (Gallia). The first-century coins made in this mint are hardly found in Roman castellums of the eastern coast of the Black Sea. Discovery of a coin minted in the name



რომაული მონეტები (ახ.წ. I-III სს)
**Roman Coins (1st -3rd centuries AD)**

of King Agrippa I of Judea (37-44) must be considered unique. Coins of Antioch make up early groups of Roman coins recovered at Gonio-Apsarus. The group of Syrian coins includes the copper one minted in the name of Titus in the city of Gadara. It is the unique find not only in Apsaros, but throughout Georgia as well. Chronologically, it is followed by silver and copper coins minted in Caesarea, Cappadocia. The numismatic material of Apsaros includes denarii as well. Noteworthy are the coins from Trapesund. Recent finds of Gonio include a copper coin minted in the name of Gordian III in Sinop. The major-

ity of the second-century coins are minted in Rome. However, there are also those produced in Caesarea, the mint of east, Trapesund and Neocaesarea. As for the third-century coins, their majority is made of silver. They are mainly minted in Caesarea, Rome, Trapesund, Thes-



**იუსტინიანე I (ახ.წ. 527-565 წწ)**

**Justinian I (527-565 AD)**

saloniki and Sinop. The discovered numismatic material dating to the 2nd -3rd cc shows that Apsaros falls in the sphere of influence of Asia Minor, and political-economic relations are mainly directed towards the province of Cappadocia and the cities on the southern coast of the Black Sea.



**აჰმედ III (1703-1730)**

**Ahmed III (1703-1730)**



აჰმედ III (1703-1730)
**Ahmed III (1703-1730)**



მაჰმუდ II (1808-1839 წწ)
**Mahmoud II (1808-1839)**



მეჰმედ რაშიდ V (1909-1918 წწ)
**Mehmed Rashid V (1909-1918)**



**ვენეციური დუკატო. XVI-XVIII სს**

**The Venetian Ducat. 16th-17th centuries**



**პოლონური მონეტები. სიგიზმუნდ III (1587-1632 წწ)**

**Polish coins. Sigismund III (1587-1632)**



**პოლონური მონეტები. სიგიზმუნდ III (1587-1632 წწ)**

**Polish coins. Sigismund III (1587-1632)**




**გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი მონეტები**

**Coin discovered in Gonio-Apsarus**

**გონიოს განძი.** განსაკუთრებით მდიდრულად გამოიყურება 1974 წელს გონიოს ციხის მახლობლად ფერდობზე, გზის გაყვანისას აღმოჩენილი განძი, რომელშიც წარმოდგენილია ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები: შიშველი ჭაბუკის ქანდაკება, კანელურებიანი ფიალა, მასიური წახნაგოვანი სამაჯურები, მედალიონი ჰელიოსის გამოსახულებით, ცხოველთა ბრძოლის ამსახველი გარსაკრავი, მხედრის, ფრინველისა და ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებიანი მოთვალული და



**გონიოს ოქროს განძი (ახ.წ.I-II სს)**
**Golden hoard of Gonio ($1^{st}$-$2^{nd}$ centuries AD)**



დაცვარული ბალთები, ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით შემკული მძივსაკიდები, წნული ძეწკვები, კილიტები, ღილაკები, ორნამენტირებული ფირფიტები და ა.შ. გონიოს განძი ახ.წ. II საუკუნით თარიღდება.





**გონიოს ოქროს განძი (ახ.წ.I-II სს)**
**Golden hoard of Gonio ($1^{st}$-$2^{nd}$ centuries AD)**

**Gonio treasure.** The treasure discovered on the slope near Gonio Fortress while building a road in 1974 appears to be particularly rich. It comprises excellent samples of goldsmithery: a statue of a naked adolescent, a fluted phiala, faceted massive bracelets, a medal-



**გონიოს ოქროს განძი (ახ.წ.I-II სს)**
**Golden hoard of Gonio (1st-2nd centuries AD)**



lion with an image of Helios, a plaquette depicting animal fight, granulated buckles and those decorated with gems and stylized images of a rider, bird and animal, pendants ornamented with triangles made up of granules, plaited chains, sequins, buttons, ornamental plaques, etc. Gonio treasure dates to the second century AD.







**გონიოს ოქროს განძი (ახ.წ.I-II სს)**
**Golden hoard of Gonio (1st-2nd centuries AD)**

**წყალგაყვანილობის სისტემები.** სრულიად განსხვავებულია და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა გამართული რომაული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემა, რომელიც ციხის მშენებლობის საერთო დაგეგმარებაში ზის. სასმელ წყლად გამოუყენებიათ ციხის სამხრეთით გამომდინარე მსხვილი დებეტის მქონე შესანიშნავი წყარო. პირველ რიგში აუგიათ დიდი ზომის აუზი, რომლის საფასადო ნაწილი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო შიდა სივრცე დუღაბითაა შელესილი. ამ პერიოდის მსგავსი წყალსაცავი მეორე არცაა ცნობილი საქართველოში. სათავე ნაგებობიდან გაუყვანიათ მსხვილი მილების სამი რიგი, რომელიც შედიოდა ციხის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე. წყლის მილებით დატოტვილი ჩანს როგორც შიდაციხის, ისე გარექალაქის ტერიტორია. აღსანიშ-



**წყალგაყვანილობის სისტემები**
**Water supply system**



ჭა
**well**

ნავია ისიც, რომ წყალმომარაგების სისტემები შესანიშნავად, პირვანდელ მდგომარეობაშია შემონახული. ამ მიმართებით შეიძლება ითქვას ანალოგი არც ეძებნება. საერთოდ, აფსაროსის წყალმომარაგების სისტემები ეხმაურება ანტიკური სამყაროს რიგ მსხვილ ცენტრებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომაელები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, იყენებენ არტეზიულ ჭებსაც. ციხის ტერიტორიაზე დღემდე სამი ასეთი ჭაა აღმოჩენილი.

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოუწყვიათ ახ.წ. II-III სს კანალიზაციების სისტემებიც. ამ მიმართებით განსაკუთრებით საინტერესო, ასალებია აღმოჩენილი სამხრეთი კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე.

**Water supply systems**. The Roman water supply and sewerage systems are completely distinguished and meet international standards. They fit in the general planning of the construction. A perfect





**რომაული ეპოქის წყლის რეზერვუარები**
**Water reservoir from the Roman period**



ჭა
**well**

spring with affluent discharge flowing out south of the fortress was used for drinking water. First they built a large pool whose façade is dressed in hewn stone, while the inner side is plastered with mortar. No similar kind of reservoir of this period is found in Georgia. Three rows of pipes that entered the area of the south gate were laid from the intake structure. The territories inside the fortress and beyond seem to be criss-crossed by water pipes. It is noteworthy, too, that the water supply systems have been preserved in perfect condition, just like they originally were. In this respect it does not find analogs. Generally, water supply systems of Apsaros echo with a number of large centers of the Classical world. It must also be noted that, like local residents, the Romans made use of artesian wells. There are three wells of this kind discovered on the territory of the fortress.

Arrangement of the sewerage system also met international standards. Particularly interesting materials have been discovered in the area of the south gate and the baths.

**ლითონის ნაკეთობანი.** საკმაოდ მრავალრიცხოვანია რომაული ეპოქის (I – III სს) ლითონის ნაკეთობანიც: მინიატურული ქანდაკებები - ირმის, თავზე არწივის გამოსახულებით, ქალის, მტრედის და სხვ. მრავლადაა ბრინჯაოს და რკინისაგან დამზადებული კოვზები, მახათები, ჭრაქები, სამფეხები, ბულა, კანდე-



ლითონის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)

Metal artefacts (1st-3rd centuries AD)





ლაბრი, დანები, ყალიბები და ა.შ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სერაპისის ქანდაკება, რომელიც სამხრეთი კარიბჭის გარეთ მინის ნაწარმთან და მონეტებთან ერთად აღმოჩნდა. იგი ახ.წ. II ს-ის ბოლოთი და III ს-ის დასაწყისით თარიღდება. მიეკუთვნება სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ) მმართველობის ეპოქის თანადროულ ნიმუშებს.



**ლითონის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)**

**Metal artefacts ($1^{st}$-$3^{rd}$ centuries AD)**



**Metal artifacts.** Metal artifacts of Roman period (1st-3rd cc) are also found in large quantities. They are: a miniature statue of a deer with an eagle on its head, sculptures of a female, pigeon, etc. There are numerous bronze and iron spoons, sack-sewing nee-















ლითონის ნაკეთობანი (ახ.წ. I-III სს)

**Metal artefacts ($1^{st}$-$3^{rd}$ centuries AD)**

dles, oil lamps, tripods, bullae, candelabra, knives, moulds and so on. Special interest is attracted by a statue of Serapis found together with glassware and coins outside the south gate. It dates to the late 2nd – early 3rd cc AD and belongs to the samples contemporary to the epoch of the reign of Septimus Severus (193-211).



სერაპისის ქანდაკება (ახ.წ. I-III სს)

**Statue of Serapis (1st-3rd centuries AD)**

**სამკაულები.** გონიო-აფსაროსსა და მის შემოგარენში აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულები: საყურეები, ბეჭდები, რგოლები, გულსაკიდები, მძივები, სამაჯურები, ქინძისთავები, ძეწკვები, მშვილდსაკიდები, ოქროს დიადემა და სხვ.



**სამკაულები (ახ.წ. I-III სს)**
**Jewelry (1st-3rd centuries AD)**

**Ornaments.** Gold, silver and bronze ornaments have been excavated in Gonio-Apsarus and its environs: earrings, finger rings, rings, breast pendants, beads, bracelets, pins, chains, fibulae, a gold diadem and so on.



**სამკაულები (ახ.წ. I-III სს)**
**Jewelry (1st-3rd centuries AD)**



სამკაულები (ახ.წ. I-III სს) Jewelry (1st-3rd centuries AD)



სამკაულები (ახ.წ. I-III სს) Jewelry (1st-3rd centuries AD)



სამკაულები (ახ.წ. I-III სს) Jewelry (1st-3rd centuries AD)





სამკაულები (ახ.წ. I-III სს) Jewelry (1st-3rd centuries AD)



სამკაულები (ახ.წ. I-III სს) Jewelry (1st-3rd centuries AD)








სამკაულები (ახ.წ. I-III სს)

**Jewelry (1st-3rd centuries AD)**

**სამეურნეო იარაღები.** ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩენილია სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა სახის მასალები: თოხები, ცულები, ხელსაფრქვავები. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ციხის ცენტრალური შესასვლელის მარცხენა მხარეს 4 კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე გათხრებისას აღმოჩენილი მარცვლეული კულტურის ნაშთები, რომელშიც 49-მდე სხვადასხვა მცენარის ნიმუშია წარმოდგენილი, მათ შორის 9 კულტურული ჯიშის.

ციხის ტერიტორიაზე ასევე მრავლადაა მოპოვებული ქვის ნაკეთობანი: ჭურვები, შურდულის ქვები, სალესები, საპრიალებლები, მორგვი და ა.შ.





**ხელსაფრქვავები (ახ.წ. I-III სს)**
**Hand mill (1st-3rd centuries AD)**



**ფოცხი (ახ. წ. I-III სს)**
**Rake (1st-3rd centuries AD)**

**Agricultural tools.** Different kinds of tools have been revealed on the inner area of the fortress: hoes, axes, hand mills. Noteworthy are remains of crops discovered during excavations on the territory adjacent to tower N4, on the left of the main entrance of the fortress. They represent samples of about 49 varieties of plants including 9 cultivated ones.

The premises of the fortress also yielded stone articles, such as shells, sling stones, whetstones, stone polishes, potter's hand-wheel, etc.





თოხები (ახ. წ. I-III სს)

**Hoes (1st-3rd centuries AD)**

**მარცვლოვანი კულტურები** Cereals : შიშველმარცვლიანი ხორბალი *Triticum aestivum* s.l naked wheat – 1, 2, 3 (ქონდარა ხორბალი club wheat *Tr.aestivum/ compactum* Host. - 3); ასლი *Tr. dicoccum* Schubl. emmer – 4; ერთმარცვალა, ზანდური *Tr. monococcum* L. einkorn – 5; კილიანმარცვლიანი ქერი *Hordeum vulgare* Lam. *distichum* L. hulled barley – 6; შიშველმარცვლიანი ორმწკრივა ქერი *H. distichum var. nudum* Lam. naked barley - 7; შვრია *Avena sativa L.* common oat - 8; ფეტვი *Panicum miliaceum* L. broomcorn millet - 9 ; **პარკოსანი კულტურები** ***Pulses***: ბარდა *Pisum sativum* L. garden pea - 10; ოსპი *Lens culinaris* Medic. lentil – 11 *;* უგრეხელი *Vicia ervilia* (L.) Willd.) bitter vetch - 12; **მარცვლოვანი და პარკოსანი კულტრების სარეველები Crop weeds:** თაგვიყანა *Hordeum murinum* L. mouse barley, barley grass - 13; მელიკა *Melica nutuns* L. common bent grass -14; წივანა *Festuca communis* (L.) Trin. rat-tail fescue -15; ყვითელი ძურწა *Setaria glauca* (L.) P.B. yellow bristlegrass, pearl millet - 16; ნამდვილი ძურწა *Setaria verticillata* (L.) P. Beauv. Rough bristle-grass - 17; ბეწვიანი ცერცველა *Vicia hirsuta (L.) Gray* hairy tare - 18*;* თერო *Lathyrus tuberosus* L. tuberous pea, earthnut pea – 19; ყანის ჩიტისტავა *Asperula arvensis* Grossh. blue woodruff - 20; ჭიოტა *Agrostemma githago L.* common corncockle - *21;* ქინძარა Bifora radians (wild bishop *Bifora radians* M.B. - *22;* ქოთანა *Silene dichotoma Ehrh.* Ehrh. forked catchfly -23; ბეგიაური *Galium aparine L.* goose grass - 24; **სარეველა და ველური მცენარეები: Ruderals and weeds:** ხოვერა *Galium tricorne Stokes.* three-horned bedstraw - 25; ენდრონიკა *Galium mollugo* L. white bedstraw, wild madder - 26; ყანის ცერცველა *Vicia sepium* L. - 27; ბაღის არჯაკელი *Lathyrus odoratus L.* sweet pea - 28; მინდვრის ნარი *Cirsium arvense* (L.) Scop. creeping, field thistle - 29; ჟუნჟრუკი common chickweed *Stellaria media* (L.) Cyr. - 30; ღოლო *Rumex sp.* Sorrel - 31; ისლი *Carex remota* L. walter hood, fitch remote sedge - 32; თიმელია *Thymelaea passerina* (L.) Coss. & Germ *spurge flax* -33; თეთრი მდოგვი *Sinapis alba* L.

white mustard - 34; ტკაცუნა Androsacea maxima L - 35; შავთარა Fumaria officinalis L. common fumitory, earth smoke - 36; მაყვალი *Rubus fruticosus* Ldb. blackberry – 37; **სანელებლები spices and condiments** : ქინძი *Coriandrum sativum L.* coriander - 38; კვლიავი *Carum carvi* . black caraway - 39.

## განამარხებულ მცენარეთა ნაშთები Fossilized macroremains



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16a  | 16  | 17a  | 17  | 18a  | 18  |
| 19a  | 19  | 20a  | 20  | 21a  | 21  |
| 22a  | 22  | 23a  | 23  | 24a  | 24  |
| 25a  | 25  | 26a  | 26  | 27a  | 27  |
| 28a  | 28  | 29a  | 29  | 30a  | 30  |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 31a   | 31  | 32a  | 32  | 33a  | 33  |
| 34a  | 34  | 35a  | 35  | 36a  | 36  |
| 37a  | 37  | 38a   | 38  | 39a  | 39  |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *Triticum aestivum* s.l  | *Hordeum vulgare* L.  | *Hordeu distichum*  | *Avena sativa L*  | *Pisum sativum* L.  | *Lens culinaris* Medic.  |

# ადრებიზანტიური ეპოქა

აფსაროსში შესწავლილ ყველა უბანზე I-III სს კულტურულ ფენებს უშუალოდ მოსდევს ბიზანტიური ხანის მასალები, რომელიც VI ს პირველი მეოთხედის შემდგომი პერიოდით თარიღდება. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით ლაზიკის მეფე გუბა-



ბიზანტიური ეპოქის კულტურული ფენები (ახ. წ. VI-VII სს)

Cultural layers of the Byzantine period (6th-7th centuries AD)

ზის მკვლელებს, იოანესა და რუსტიკეს ქალაქ აფსარუნტის სატუსაღოში ამწყვდევენ. როგორც ჩანს, აფსაროსისა და სხვა ბაზების გამოყენებით ბიზანტიელებმა VII ს დასაწყისში მთელი კლარჯეთის ზღვისპირეთი მიიტაცეს. VII ს-ის პირველი ნახევრის (630-640წწ) ბიზანტიური წყარო („პასქალური ქრონიკა“) აფსარს παρεμβολη-ეს უწოდებს. აფსარს, როგორც სამხედრო ბანაკს იცნობს VIII ს-ის მეორე ნახევრის ბიზანტიელი მწერალი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი. „აფსარეას ქალაქს“ იხსენიებს აგრეთვე VIII ს-ის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე. X ს ბიზანტიელი ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი, ასახელებს „აკამფსისის ციხეს“ და იგი ბიზანტიის შემადგენლობაში ეგულვება.

ბიზანტიური ეპოქის საკმაოდ მძლავრი ფენებია შესწავლილი ციხის შიდა ნაწილში. აღმოჩნდა ამ ეპოქის სხვადასხვა დან-





**ბიზანტიური ეპოქის კულტურული ფენები (ახ. წ. VI-VII სს)**

**Cultural layers of the Byzantine period ($6^{th}$-$7^{th}$ centuries AD)**

იშნულების ნაგებობათა ნაშთები და ნივთიერი მასალა, რომელიც ახ. წ. VI-VII სს თარიღდება. ყურადღებას იქცევს ამფორების, ლუთერიების, საამშენებლო, საოჯახო-შინსახმარი კერამიკის, მცირეაზიურ ნაწარმად მიჩნეული თიხის ჭრაქების, წითელლაკიანი კერამიკის, თანადროული მინის სასმისების იმპორტული თუ ადგილობრივი წარმოების ნიმუშები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქვე აღმოჩენილი იუსტინიანეს (527-565 წწ) მონეტებიც.



**ბიზანტიური ამფორა (ახ.წ. VI-VII სს)**

**Byzantine amphora (4th-6th centuries AD)**



**ჭრაქი (ახ. წ. VI ს)**

**Lamp (6th century AD)**

## EARLY BYZANTINE EPOCH

In all sections investigated in Apsaros the cultural layers of the 1st -3rd centuries are followed by the material of Byzantine epoch, which dates to the period following the first quarter of the 6th century. According to Agathias Scholasticus, two murderers of King Gubaz of Lazika – Ioane and Rustike were imprisoned in the jail in Apsaros. Apparently, the Byzantines captured the whole coast of Klarjeti using Apsaros and other basecamps at the beginning of the 7th century. The byzantine source of the first half of the 7th century (630-640) (Chronicon Paschale) refers to Apsar as *παρεμβολη*. Apsar is known as a military camp to the Byzantine author of the second half of the 8th century Epiphanes of Constantinople. 'The city of Apsarea' is also mentioned by the eighth-century Georgian author Ioane Sabanisdze. The tenth-century Byzantine historian Constantine Porphyrogennetos names a 'fortress of Akamps' and considers it as part of Byzantium.



**ბიზანტიური ამფორების ნატეხები (ახ. წ. VI-VII ს)**

**Fragments of Byzantine amphorae (6$^{th}$-7$^{th}$ centuries AD)**



მოზაიკის ფრაგმენტი (ახ. წ. VI ს)

**Mosaic fragments (6th century AD)**

Rather thick layers of Byzantine epoch have been investigated in the middle part of the fortress. There appeared remnants of structures of various functions and artifacts that date to the 6th -7th cc. They contain interesting samples of amphorae, luteria, building and household ceramics, clay oil lamps recognized as production of Asia Minor, red-varnished pottery, imported and locally produced glass drinking vessels. Particularly important are Justinian's (527-565) coins discovered here.

# განვითარებული შუა საუკუნეები

XI-XV საუკუნეებში აფსაროსი შედარებით სუსტადაა ათვისებული. აქ ამ ეპოქის გამოკვეთილი კულტურული ფენები



**ქვის საწნახელი (XI ს)** **Winepress (11th century AD)**

არ გვხვდება. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნისა და მისი საზღვრების სამხრეთისაკენ გადანაცვლების შედეგად აფსაროსი აღმოჩნდა ქვეყნის სიღრმეში და რამდენადმე შესუსტდა ციხის ფუნქციაც. თუმცა ციხის შემოგარენსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად დასტურდება ამ ეპოქის სხვადასხვა ტიპის ძეგლები. მოპოვებულ მასალებში ძირითადად საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების კერა-





მიკაა წარმოგენილი. განსაკუთრებული ადგილი უკავია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ თიხის ნაკეთობებს (ქვევრები, ხელადები, სადა და მრავალფრად მოჭიქული ჯამები, სასმისები და სხვ.). მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლითონის ნაკეთობებებს (ჯვრები, ცულები და ა.შ).



**გონიო-აფსაროსის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი საეკლესიო ნივთები (XI-XIII სს)**

**Church inventory found on the territory of Gonio-Apsarus fortress (11th-13th centuries)**

## THE HIGH MIDDLE AGES

In the 11th -15th cc Apsaros is relatively weakly developed. No cultural layers of this period are distinguished here. As a consequence of establishing the united Georgian state and shifting its borders further to the south, Apsaros appeared in the middle of the country and, therefore, the importance of the fortress' function decreased. However, various types of monuments of this epoch are evidenced in large numbers in the vicinity of the fortress. The recovered material mainly includes household ceramics. Special place is occupied by the pottery related to viticulture and wine-making (pithoi, broad-lipped jars, plain and colorfully glazed bowls, drinking vessels, etc.). There is a considerable number of metal artifacts (crosses, axes, etc.) too.







გონიო-აფსაროსის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი საეკლესიო ნივთები (XI-XIII სს)

**Church inventory found on the territory of Gonio-Apsarus fortress (11th-13th centuries)**



შუა საუკუნეების კერამიკული ნაკეთობანი (XI-XIII სს)

**Medieval pottery (11th-13th centuries)**



შუა საუკუნეების კერამიკული ნაკეთობანი (XI-XIII სს)

**Medieval pottery (11th-13th centuries)**

# გვიანი შუასაუკუნეები

გონიოს ციხე 1547 წლიდან 1878 წლამდე ოსმალთა ხელშია. ციხის თითქმის ყველა უბანზე დასტურდება ამ ეპოქის კულტურული ფენები. ამ ეპოქის ნაგებობათა ნაშთებთან ერთად (აბანო, მეჩეთი, სასახლე, წყალგაყვანილობათა სისტემები, ჭები) გვხვდება მდიდარი არქეოლოგიური მასალაც.

# LATE MIDDLE AGES

Gonio Fortress was controlled by the Ottomans from 1547 to 1878. Nearly all the districts of the fortress revealed cultural layers of this period. In addition to the remnants of the structures of this epoch (bathhouse, mosque, palace, water supply systems, wells), there is rich archaeological material as well.

ფაიფური და ფაიანსი. ფაიანსი, დამზადებულია მცირე აზიის საწარმოო ცენტრებში იზნიკსა და ქუთაიაში, ხოლო ფაიფური ჩინეთის სხვადასხვა რეგიონებიდანაა შემოტანილი. ორივე ტიპის კერამიკა ტერიტორიაზე XVII-XVIII სს-ით თარიღდება.



**ფიალა (XVII - XVIII სს.)**

**Bowl (17th-18th centuries )**

Porcelain and faience. The faience is made in Iznik and Kutahya, the production centers in Asia Minor, while the porcelain is imported from various regions of China. Both types of material found on the territory date to the 17th -18th centuries.







ფაიფურისა და ფაიანსის ნაწარმი
(XVI-XVIII სს)

**Porcelain and faience**
**(16th-18th centuries)**



ფაიფურისა და ფაიანსის ნაწარმი
(XVI-XVIII სს)

**Porcelain and faience**
**(16th-18th centuries)**



ფაიფურისა და ფაიანსის ნაწარმი
(XVI-XVIII სს)

Porcelain and faience
(16th-18th centuries)

**მოჭიქული კერამიკა.** შემდეგ ჯგუფს მოჭიქული ნაწარმი ქმნის. მათი ნაწილი შემოტანილია ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ცენტრებიდან. ერთ-ერთი მთავარი ცენტრი უნდა ყოფილიყო ქ. იზნიკი (ძველი ნიკუა). გარკვეული ნაწილი დამზადებულია ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ



მოჭიქული კერამიკა (XVI-XVIII სს) **Glazed pottery (16th-18th centuries)**





ნაწილში. გონიოს ციხის ტერიტორიაზე მათი შემოტანა ოსმალო ჯარისკაცების მიერ უნდა მომხდარიყო. მოჭიქული კერამიკის შემდეგ ჯგუფს ქ. სტამბულში, თექფიურის სასახლეში დამზადებული ნიმუშები ქმნიან.

მოჭიქულ კერამიკასთან ერთად გვხვდება სხვადასხვა სახის სადა კერამიკაც: კეცები, ქოთნები, ჯამები, ქილები, კეცები, დოქები, ხელადები, აგურები და კრამიტები. ისინიც XVII-XVIII სს-თაა დათარიღებული.




**მოჭიქული კერამიკა (XVI-XVIII სს)** **Glazed pottery (16th-18th centuries)**



მოჭიქული კერამიკა (XVI-XVIII სს)

**Glazed pottery (16th-18th centuries)**

**Glazed ceramics.** The next group is composed of glazed products. Part of those is imported from different centers of Ottoman Empire. The town of Iznik (ancient Nicaea) must have been one of the most prominent centers. Part of the material is produced in the south-eastern part of the Crimean Peninsula. They are likely to have



been brought onto the territory of Gonio Fortress by the Ottoman soldiers. The group following that of the glazed pottery is made up of the samples produced in Tekfur Palace in Istanbul.



მოჭიქული კერამიკა (XVI-XVIII სს) **Glazed pottery (16th-18th centuries)**



მოჭიქული კერამიკა (XVI-XVIII სს) **Glazed pottery (16th-18th centuries)**

Different types of plain ceramics are evidenced together with the glazed pottery: bread-baking dishes, pots, bowls, jars, jugs, bricks and tiles. They are also dated to the 17th -18th cc.







სადა კერამიკა (XVI-XVIII სს)

**Plain pottery (16th-18th centuries)**

**ჩიბუხები.** ქრონოლოგიურად ადრეულია თეთრკეციანი ნიმუშები (XVII ს), მათთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია წითელკეციანი ფორმები. ისინი XVIII ს-ის სხვადასხვა მონაკვეთით თარიღდება.



**ჩიბუხები (XVII-XVIII სს)** **Pipes (17th-18th centuries)**

**Smoking pipes.** Chronologically, the earliest are the samples with white fabric (17th c), while the red-fabric ones are found in larger numbers. They date to different periods of the 18th century.



**ჩიბუხები (XVII-XVIII სს)**
**Pipes (17$^{th}$-18$^{th}$ centuries)**

**ლითონის ნაწარმი.** ყველაზე ადრეულია ორი იტალიური ალებარდი, რომელიც XVI ს-ის I ნახევრით თარიღდება. სხვა სახ-ის ნაწარმისაგან აღსანიშნავია ბრინჯაოს როდინი, ბრინჯაოს დოქი და ტყვიის ჩამოსასხმელი რკინის ტიგელები. ძეგლზე დიდი რაოდენობით გვხვდება ყუმბარებიც, რომელიც უკვე გვი-ანი შუასაუკუნეების ბოლო მონაკვეთს ასახავს და თარიღდება XVIII ს-ის ბოლო და XIX ს-ის დასაწყისით. საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნებიც.



**ლითონის ნაკეთობანი (XVII-XVIII სს)**

**Metal artefacts (17th-18th centuries)**

**Metalware.** The earliest are two Italian alebards dated to the first half of the 16th century. Among other types of articles noteworthy are a bronze mortar, bronze jug and iron crucibles for casting lead. There are plenty of shells which represent the final part of the late medieval period and date to the end of the 18th c and beginning of the 19th c. Iron nails of different size are also found in great numbers.





ლითონის ნაკეთობანი (XVII-XVIII სს)

**Metal artefacts (17th-18th centuries)**